კვირა, 7 დეკემბერი 1930 წ. № 45 (281) ფასი 10 კაპ.

ტარტაროზი

მაპნეგელთა მეთაური—პუანკარე და ბრიანი



12 536
Библиотека-Музей имени И. Гришашвили Академия наук

ფრანგი მუშა: — მალე თქვენც დაგხვამთ ხაბრა ლმდებლო სკამზე და თქვენზედაც გამოვიტანთ ლირსეულ განაჩენს!

ეს რა მოგვივიდათ, ბატონო განსწავლულებო!

კაცი პროფესორი და უაღრესად განსწავლული.

თავში აქვს შვიდი აკადემია და ცხრამეტი ფაკულტეტი.

მოდი და ასეთ კაცს შეეკამათე, როცა იგი ქარხნის მოწყობაზე დაგიწყებს ლაპარაკს!

— „ჩვენი ხელისუფლება“, „ჩვენი მუშათა კლასი“, „ჩვენი პროლეტარიატი“, — ასე ლაპარაკობს იგი და ინდუსტრიალიზაციის მზეს ფიცულობს სოცმშენებლობის გაგონებაზე მეტის-მეტი განცდისაგან თვალებში ცრემლები მოსდის.

შენც გრძნობებით ივსები ასეთი სწავლების მიმართ და ფიქრობ:

— დიდ არს, პროლეტარიატის დიქტატურავ, გავლენა შენი, რომ ეს ყოფილი შავრაზმელი პროფესორი ასე გულმოდგინეთ ემსახურება სოციალიზმს.

ასაგებია ქარხანა.

— ამ წარმოებისათვის საუკეთესო ადგილია უნედლას რაიონი, იგი მომავალი სამრეწველო ცენტრია, — დაბეჯითებით ამბობს განსწავლული პროფესორი და მკერდში მჯიღს ირტყამს: — გეფიცებით ჩვენს ბოლშევიკურ ტემპებს, რომ ამაზე უკეთესი ადგილი წარმოუდგენელია!

შენ, ამ დაწესებულების ხელმძღვანელს დაწინაურებულ მუშას, გეუცხოვება რომ უნედლას რაიონში, სადაც ნედლეული მცირეა, გირჩევენ ქარხნის აგებას.

— ოჰ! ვფიცავ ინდუსტრიის გიგანტებს რომ ეს ადგილი საუკეთესოა, — გესმის განსწავლული კაცისაგან.

შენდება ახალი ქარხანა. საჭიროა მანქანები, მოწყობილობა.

— ეს ისეთი მანქანებია, რომ მაგისათვის საჭიროა ან ჩემი, ან ჩემი ამხანაგის წასვლა ევროპაში... ჩვენი თვალით თუ არ ვნახეთ, შეიძლება მოგვატყუონ, ხომ იცით, ეგენი ბურჟუაზიაა, ჩვენი პროლეტმშენებლობა ჭირივით ეჯავრებათ...

მიდის დიდებული პროფესორი უცხოეთში. შენ გგონია მანქანებისათვის, თურმე პუანკარესთან პაემანი აქვს დანიშნული:

— გადასდეთ ერთი მილიარდი მანეთი, ეს იკმარებს საბჭოთა კავშირის დასამონავებლად და მერე ყოველწლიურად წაიღეთ მილიარდობით!

ბებერ ჭოფაკს პუანკარეს ნერწყვი მოსდის... ეს ხომ მისი დიდი ხნის ოცნებაა და ამ ოცნებას ახლო მომავალში საფლავშიაც ჩაიტანს...

— კი, კი მე მკითხე თქვენი პატივისცემა; ეგენერალური შტაბი მზად გვყავს, პოლონეთიც მზათ არის, რუმინეთიც... ინგლისიც ხომ ჩვენია, თქვენ ოღონდ შიგნიდან დაარღვიეთ, ხალხი აიშფოთეთ! — ღრინავს ბებერი ჭოფაკი.

— მე მზათ მყავს სამოცი ათასი ჯარისკაცი, რუსეთს ხიშტზე ავაგებთ; ბოლშევიკებს მიწას გაუთხრით,— ღრინება მეორე ძაღლი, გენერალი ლუკომსკი — თეთრგვარდიელების სიამაყე და იმედი.

ჩვენი განსწავლული პროფესორი გულში იხუტებს ყოფ. რუსეთის მრეწველებს „ტორგპრომის“ წევრებს და დორბლმორეული ლუღლუღებს:

— რუსეთი ჩვენი იქნება... მინისტრები ვიქნებით, ძველ რუსეთს აღვადგენთ, ბოლშევიკების სინსილას გავაწყობთ... ქვეყანას შევმუსრავთ...

უცხოეთიდან ბრუნდება განსწავლული პროფესორი. ჯიბე გატენილი აქვს გენშტაბის და „ტორგპრომის“ ოქროთი და ინსტრუქციებით.

„ინტერვენცია, ინტერვენცია, — ჩვენი ხსნა ინტერვენციაშია“, —მოაქვს მას ამბავი

— ძლივს შევიძინე დაზგები—იწმენდს იგი ოფლს, — ეს ბურჟუაზია პირდაპირ დასაკირავია, ხელს გვიშლის სოცმშენებლობაში...

ბოლოს, კჯრგა ხნის შემდეგ ირკვევა, რომ დაზგები და მანქანები სრულებით უვარგისია.

— მოგვატყუეს შეჩვენებულებმა კაპიტალისტებმა, — იგინება „საბჭოთა“ პროფესორი, — ცუდი მანქანები გამოუგზავნათ, ჩვენი მშენებლობის ჩაშლას ცდილობენ — აი მაგალითი...

და მუშტს, „საბჭოთა“ მუშტს იქნევს ევროპისაკენ...

იაღლიში მოგვივიდათ, ბატონო განსწავლულო პროფესორო.

რას გამოაპარებთ თქვენ პოლიტსამმართველოს! ასი კანი რომ გამოიცვალო, ასი ქურქი რომ ჩაიცვა, მაინც გიცნობს, მაინც გიპოვის, ყნოსვით გიგრძნობს, გულის სიღრმეში ჩაგწვდება და ფოტოგრაფიული სისწორით გადაიღებს შენი ინტერვენციული სულის ყოველ კუნჭულს.

ფრთხილად ბატონო პროფესორებო, ხელობით მავნებლებო. საშინელია პროლეტარიატის რისხვა. კითხეთ თუ გნებავთ თქვენს წინა მავნებლებს.

ტერსიტი.

ზღაპარი საბჭოთა დემპინგზე

— წ:გვლეკავს!.. წაგვიღებს!

მ ა ვ ნ ე ბ ლ ე ბ ი

(კარიკატურები ამოღებულია გაზ. „პრავდა"-დან)





მავნებელთა ბრჭყალები და საბჭოთა „ბრჭყალები"

კ ო ვ ზ ი ნ ა ცა რ ში

მიყვარს ყველი, კიტრი, პური,—
ვთხოვთ დამიგდოთ ყველამ ყური,
მოვიარე არე-მარე
და მოვნახე პუანკარე.

ენა ფლიდი და ორპირი,
სიხხლით ჭქონდა სავსე პირი.
ტანზე ეცვა შავი „კლოკი"
და მივართვი მას ბოლოკი,

—მავნებელთა ძღვენი არის!—
მოვახსენე ენა მწარედ,
ქუდი მაგრა დავიხურე
და მოვკურცხლე უცბად გარედ.

— შეჩერდიო! — მომაძახა,
დაებჩინა ბრაზით ხახა,
(ერთი მაგრა გამეცინა
ამივარდა: ხა, ხა, ხა).

დე დამცინეთ რომ ჩავარდა
რამზინი და პრომპარტია.
მე რა უთხრა თქვენს „ჯეპეუს",
ეს მას რომ არ აპატია!

ძველი

„პროფესსორ“

მახსოვს.

ცირკში გახლდით.

ჩამოთავდა ძაღლებისა და მაიმუნების დემონსტრანცია, ცხენზე ჯირითი და კისრის მტვრევა, „სასიკვდილო“ რგოლებში ხტომა, მხიარულ მუსიკოსთა ტურნე და სხვა.

ცირკის არენაზე გამოჩნდა კაცი, რომლის ტანსაცმელიც წითელ, ყვითელ, ლურჯ, თეთრ, მწვანე თუ სხვა ცისარტყელას ფერთაგან იყო აჭრელებული.

ცირკის ენაზე ამას ჯამბაზი ეწოდება, უბრალო ხალხი მას უცხო სიტყვით კლოუნადაც ისენებს.

და აი, ჯამბაზმაც დაიწყო თავისი ჯამბაზობა.

ჯერ დადგა მაგიდაზე ჯამით წყალი, გადახურა თავზე რაღაც ზური, გაუმჭვირვალე სახურავი. შემდეგ ცალი ხელით წამოსწია ეს სახურავი შეჰყო შიგ მეორე ხელი და იქიდან ოცხალი მტრედი გამოიყვანა. ახადა სახურავი და ჯამზე წვეთი წყალიც აღარ იმოჩნდა.

ხალხმა ტაში დაუკრა. ოვაციები გაუმართა.

ჯამბაზი კი გაჯგიმვით იდგა არენაზე და ამ ოვაციებს ისე ირგებდა, როგორც დედის რძეს.

— პროფფფესსორ!..

შესძახებდა იგი დრო და დრო, სანამ ოვაციები და ტაშის გრიალი არ სწყდებოდა.

ამის შემდეგ ჯამბაზმა ჯერ წვრილ რტყელებათ დასჭრა რაღაც ქაღალდი და მაგიდაზე დაალაგა. შემდეგ ქაღალდს ცეცხლს უკიდებდა და ალმოდებულს პირში იტენიდა ყოვლის მძლე შავი ჯოხით. და როცა ქაღალდის წვა და პირში ტენა მოათავა, ერთი ამოიზიდა მკერდიდან და გაღებულ პირიდან იწყო ძაფის ამოზიდვა, თითქოს ყელიდან აძრობსო.

ცირკის დარბაზი ისევ ტაშად და ოვაციებათ გადაიქცა.

ჯამბაზი ისევ არენაზე გაჯგიმა გამარჯვებულ ყვინჩილასავით და.

— პროფფფესსორ!..

გაიძახოდა ოთრო აზარტში შესვლით.

და თუმცა ვიცოდი, რომ ის პროფესორი კი არა, უბრალო ჯამბაზია, შარლატანი რომელიც ხალხს ურცხვად ატყუებს: სახელოთი მტრედს აცილებს აჩურავს ქვეშ, ხოლო იქიდან იგი შემდეგ ისე გამოჰყავს, როგორც „წყლიდან ამოყვანილი“, ქაფი კბილზე წინასწარ დახვეული აქვს, არღვევს ამ ძაფს და გამოაქვს პირიდან, ხოლო ხალხს კი აჩვენებს, რომ იგი მან მიიღო ცეცხლსა და ქაღალდისაგან ყასიდათ შემზადებულ პროდუქციათ თავისი ამ შემთხვევაში მართლაც პატივსაცემ სტომაქიდან.

დიახ, ვიცი, რომ ეს თავიდან ფეხებამდე გველივით შეჭრელებული არსება უბრალო ჯამბაზია, ცირკის მასხარა და არა ფროფესორი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, იგი მემაინც არ მძულს, ცირკში ის არავის არ სძულს, პირიქით, ყველას უყვარს და შემდეგ, როცა ის თავის სულელურ ნომრებს ასრულებს და ცირკის არენას გაეცლება, დარბაზი დიდხანს არ სწყვეტს ტაშსა და ძახილს თავშეუკავებელი მოწონებისა.

შეუფერებელია ჯამბაზზე სიტყვა: „პროფესორი“, მაგრამ სათაკილოდ იგი ამ შემთხვევაშიაც არავის მიაჩნია, შეუფერებლად იგი მაინც არავის ეჩვენება.

მაგრამ აი, მეორე დარბაზი! ცირკის არა, სასამართლოსი, პროლეტარული ტრიბუნალის.

სცენაზე — ნ ადვილი პროფესორები, ოცი-ოცდაათი წლის სტაჟით.

ყოველ შემთხვევაში განსხვავება მათსა და ცირკის მასხარას შორის უნდა იყვეს.

და როგორ გგონიათ? ვისდა სასარგებლოთ?

ყური დაუგდეთ ამ „პატივცემულ“ სპეცებს, იმდენად ბეცებს, რომ თავიანთ პროფესორულ ცხვირებზე უშნოდ ჩამოკოსებულ სათვალეებს გადმოდმა ვეღარ დაუნახავთ ვეღარაფერი ღირსშესანიშნავი და ღირსაიმედო. ეს მილიონ მუშათა და გლეხთა თავდადებული შრომა, შრომის გმირობა, გაუგონარი მშენებლობითი ენტუზიაზმი და სხვა უჩვეულო თვისებანი მათ, თითონ მასხრებს- ალბათ, მასხრობათ წარმოუდგენიათ და საზღვარ გარეთიდან მათი ოცნებით რუსეთის მხსნელად მოვლინებულ პუანკარესი, ლუშერის, ბრიანის, პოლკოვნიკი რიშარის და სხვა ნამდვილ ცირკის მასხრებით მათი შენაცვლება განუზრახავთ.

ყველაფერი ეს შეიძლება დიდათ სანასხრო და სასაცილოც იყვეს, რომ საჭუხარო არა, და პროფესორულ პსიხიკისათვის მისაღებ-შეხამებულიც, მაგრამ ერთი მთავარი პირობის ცოდნა კი მაინც სავალდებულოა პროფესორთა ჭკუისათვის, რამდენადაც დაბრმავებული არ უნდა იყვნენ ეს პროფესორები: სახელდობრ, ის, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორია ცირკის არენა არ არის, ხოლო მილიონ მუშათა და კოლექტივისტ-გლეხთა უსაზღვრო შემოქმედებითი ენერგია საჯამბაზო ოინებისაგან რითიმე განსხვავდება.

ამის შემდეგ მართლაც რომ რა ჰიუღწეველ სიმაღლემდე მაღლდება ჩემს თვალში ის „პროფესორ“—ჯამბაზი, ცირკში რომ მინახავს, ხოლო შავი მაგიის რაოდენ უკიდურეს სიმდამბლემდე ძირს ეშვება და ეცემა ზოგი „ნამდვილი პროფესორის“ სათვალე-აფარებული ნიღაბი საძაგელი გაპცემლისა, მოღალატისა და ბოლოს სრულიად გატაკიმასხრებული შარლატანისა.

ბაზირა

გაწმენდილნი

(იხ. სურათი ზემოდ)

—:—

— ამ ფრინველების გადაფრენა ჩვენი მანდატების გაფრენას მაგონებს!

— ეჰხ! ამათ რა უჭირთ! გაზაფხულზე ისევ მოფრინდებიან... ჩვენი მანდატები კი არასოდეს!

მეგობრების შეხვედრა

აკაკი წერეთლის, — ყოფილ განოვის ქუჩის, — ერთ-ერთ საბამხის სახლის ეზოში ჩამდგარიყვენ რიგში დიასახლისები რაღაცას მოლოდინში. დროგამოშვებით რომელიმე მათგანი გამოვიდოდა რიგიდან და გაეშურებოდა ალაყაფის კარებისკენ ამბის გასაგებათ, — მოდიოდა თუ არა ის, ვისაც ელოდებოდენ.

ერთი ასეთი დაზვერის დროს მზვერავმა მოაშურა რიგს ხმაურით:

— მოდის, მოდის, მოდის!...

რიგში მხიარული ჩოჩქოლი შეიქნა.

ცოტა ხნის შემდეგ ეზოში შემოხრიგინდა ბოსტნეულობით და ხილეულობით დატვირთული ურემი, რომელშიაც ვირი იყო შებმული.

სანამ ნოქრები გადმოალაგებდენ ბოსტნეულობა-ხილეულობას, სანამ მოაწყობდენ სასწორს და შეუდგებოდენ ვაჭრობას, ვირი მოწყენილი გამომეტყველებით ათვალიერებდა მორიგეებს.

ამ დროს ეზოში შემოვიდა გლეხი კურტნიან ვირით, რომელსაც გადაკიდული ჰქონდა ხურჯინი გამოურკვეველი შიგნადებით.

მუშკოოპის და გლეხის ვირები მხიარული ყრიყინით მიესალმენ ერთმანეთს:

— გა-ა-მა-ა-არ—ჯო—ბა—აა!.. მეგობარო! — შეღრიალა მუშკოოპის ურემში შებმულმა ვირმა წავკისელ კურტნიან ვირს.

— გა-ა-გი-ი-მა-ა-რჯოს, მეგობარო!—ღრიალითვე უპასუხა წავკისელმა ვირმა.

რამდენი ხანია არ შემხვედრიხართ აროერთი წავკისელი ვირები, — რა დაგემართათ, რათ არ ჩამოდიხართ თბილისში?

— რატომ ჩამოვიდეთ, როდესაც ჩამოსატანი აღარაფერი გვაქვს? წინეთ მხოლოთ მაწონი ჩამოგვქონდა, რომლის საფასურითაც ღვინით ილეშებოდენ ჩვენი პატრონები. ეხლა კი ღვინო აღარ იშოვება არსად და ამიტომ მაწონს თითონ მიირთმევენ!

— ნეტავი თქვენ, — მოსვენების დრო დაგდომიათ და კოლექტიურათ ბალახის ძოვის მეტი საქმე აღარა დაგრჩენიათ!

— მითომ თქვენ, ქალაქელ ვირებს რა ჯაფა გადგიათ?



— ნულარ მკითხავ, მეგობარო! ისეთი ღღე გვადგია, რომ დაბადებას ვიწყევლით!

— რა დაგემართათ, მეგობარო!

— და დაგვემართა და ცხოვრება მეტის-მეტათ მოსაწყენი შეიქნა ჩვენთვის. მართალია, წინეთაც ამ ბოსტნეულობით და ხილეულობით დატვირთულ ურმებს ვატარებდით, მარა მუშაობა მხიარული და მრავალფეროვანი იყო მაშინდელ კინტოების ხელში. ხან აღმართს შეუდგებოდით, ხან დაღმართში ჩავხრიგინდებოდით, ხან ნელა წავიდოდით, ხან ჩქარა და ხანაც ერთ ადგილს შევჩერდებოდით ცოტახნით დასასვენებლათ. ყველა ჩვენი ნაბიჯი შემკობილი იყო ჩვენი პატრონი კინტოს ხუმრობით, მოსწრებული სიტყვებით, ბაიათების ღიღინით, რომლების დროს ჩვენს ზურგზე შოლტის ტყლაშუნს სიმწვავე უნელდებოდა! ეხლა კი აი, ეს ყოფილი ვაჭრები, რომლებიც გაბრაზებული არიან იმითი, რომ მათ საკუთარი სავაჭროები გაუუქმეს და მუშკოოპის ნოქრებათ გახადეს, ჩვენ ზურგზე იყრიან ჯავრს. საწყობიდან ცემა-ტყეპით მოგვაქაჩიებენ ურემს საბამხის სახლის ეზოში, ან ალაყაფის კარებთან და ვდგევართ აქ მთელი საათობით. კიდევ კარგი, თუ ამინდი კარგია, მაგრამ ცუდ ამინდში კი ჩვენი სიცოდვე უპატრონო ძაღლიც არ არის!..

— ვა-ა-აა!—შეღრიალა წავკისელმა ვირმა. — ეს მართლა რა უცნაური დრო დაგდგომიათ ქალაქელ ვირებს! მერე და რატომ ხდება ეს უთავბოლობა?

— ე-ე-ე-ეე!—აბა რა ვიცი, რატომ ხდება! ეს ჩვენ, ვირებს კი არა ადამიანებსაც ვერ გაუგიათ!

— ალბათ სავაჭრო დარაბების და შესაფერ სარდაფების შოვნა მეტის-მეტად ძნელი შეიქნა და ამიტომ იძულებული არიან ცისქვეშ ივაჭრონ?

— ე-ე-ეე! შენც ლაპარაკობ რაღა! წინეთ თუ ათასობით იყო დარაბები ყერძო ვაჭრების ხელში, ეხლა მუშკოოპმა რამდენიმე ასეული ვეღარ აშოვა? ყერძო ვაჭრები მოისპენ, თვარა დარაბები ხომ დარჩენ!

— ალბათ ის უფრო ძვირი ჯდება და ეს იაფი და ამიტომ ამჯობინებენ ასე?

— მოდი, ვიანგარიშოთ! ამ ერთ ურემ ბოსტნეულობას და ხილეულობას უდგეგვართ აქ მთელი საათები მე და ეს სამი ნოქრები. (ჩვენს აქ მოსვლამდე რიგში მდგომელებზე არას ვიტყვი). ვთქვათ, ეს ნოქრები იქაც, დახურული შენობაშიც საჭირო იქნებიან. მარა მე და ჩემი ურემი ხომ თავისუფალი ვიქნებოდით ტვირთის მიტანის შემდეგ და სხვა საქონლის ვადაზიდვა შეგვეძლებოდა. მოთხოვნილება კი დიდია გადამზიდველების!

— შეიძლება მომხმარებლისათვის იყოს ეს უფრო მოსახერხებელი და ამას უწევენ ანგარიშს?

— შენც არ მომიკვდე! ვირის ლაპარაკი რომ ესმოდეთ — ვკითხავდით და ნახავდი, თუ რა პასუხს მივაღებდით მათგან! ვისთვის არის აბა სასიამოვნო ღილიდანვე იმის კითხვა ძიებაში იყოს: გაიარა თუ არა მენავთემ, მერძევემ, მებოსტნე-მეხილემ და სხვა. ის არ ურჩევნიათ, რომ გარკვევით იცოდენ, — რომელ დარაბაში, ან სარდაფში მოიპოება ყოველივე ესენი და ვინაზღვრულ საათებში იქ შეიძლება მათი მიღება?

— მაშ რაშია საქმე?

— აბა რა ვიცი, — რაშია! ვირების ენა არ ესმით მუშკოოპის მუშაკებს, რომ გავაგებინოთ ეს უთავბოლობა და თითონ კი ვერ ხვდებიან!..

ამ დროს გამოჩნდა წავკისელი ვირის პატრონი, რომელსაც ბინებზე ჩუმათ უკვე გაეყიდა ჩამოტანილი რაც ჰქონდა, — „ჩოქში"!.. შესძახა თავის ვირს და მხიარულათ გაუდგა გზას წავკისისკენ.

უნდა გენახათ, რა შურის თვალით უცქეროდა ეზოში დარჩენილი ვირი მიმავალს!..

ს. თ—ია.

სასახლეში

— უკაცრავად... აქ წინეთ ჩვენიმთავრობა მიხა ცხაკაია იყო და, ეხლა სად ბრძანდება თუ იცით?

— ასეთი არც ვიცი; ნია! თავი დამანებეთ!..

— ჩემო ლავრო, მიშველე რამე, გამაგზავნე სადმე.

— რა თანამდებობა გინდა, რა შეგიძლია?

— ჩემო ლავრო, ჩამომითვალე რა ადგილები გაქვს და მე შევარჩევ. ასე ზეპირად, როგორ გითხრა!

ლავრენტიმ ერთი დასტა ქაღალდი გადმოიღო და ხმა მაღლა წამიკითხა:

— მიწა - ტყის კავშირი ითხოვს ტყის მცველს...

— რად მინდა მაგი! ნადირი კი არ ვარ, რომ ტყეში წავიდე!

— სააღმშენებლო ბიურო — ერთ ინჟენერს და ერთ ტეხნიკს აღმშენებლებს...

— არც მაგ მინდა, დალში, ჩემო ლავრო.

— ჯანმრთელობის კომისარიატი — ეჟიმს პროვინციაში სამუშაოდ.

— აა! სწორედ ეგაა საჩემო საქმე... სხვა არ მინდა, ჩემო ლავრო, ხელობაც სუფთა და პაწია პრაქტიკაც ქე მაქვს. სამი თვე ვმუშაობდი ამბულატორიაში დარაჯად. ვინ მოსთვლის ჩემ თვალწინ რამდენ ავადმყოფს გაუვლია. დღესვე წავალ სამუშაოდ, ყველა ავადმყოფს ვერ მოვარჩენ (ღმერთი არ ვარ), მარა ზოგი თავისითაც რჩება უეჟიმოდ და მე რა გამჩენი გამიწყრება, რომ ყველა მოკვდეს.

— : —

სოფელი, სადაც ვმუშაობ, მიყრუებულია. ერთი ორ კლას დამთავრებული ქალია და ისიც (ხვირს ზევით იწევს. გუშინ ერთად ვისხედით საავადმყოფოს ბაღში და ხელი მისკენ გავაცოცე თუ არა, წამოხტა და მომაძახა: როგორ არ გრცხვენია, ასთე უკბად იწყებ? — და წავიდა. (ვერ გამიგია — რა განსხვავებაა ეხლა დავიწყებ თუ უფრო გვიან!).

— : —

გუშინ ჩემთან გასასინჯათ ოთახში შემოვიდა მოკუნტული დედაკაცი და მითხრა:

— შვილო, ფერდები მტკივა, მახველებს კიდეც. სახსრები სულ მოდუნებული მაქვს. დილით რო ავდგები, ძვლებს სულ ჭახა - ჭუბი გაქვს. მუცელიცა მაქვს... მოწყენებსაც მაყრის...

— კარგი დედი, კარგი... მოკლედ, რომ ვსთქვათ, სულ ყველაფერი მტკივა, არა?

— ჰოო, შვილო, ყურსაც მაკლია. ჩემი კაცი, რომ ჩამძახის, მანამ ათჯერ არ გამიმეორებს, მანამდი ვერ გავიგებ ხოლმე. ცოტა თვალსაც მაკლია, ეს ხუთი წელიწადი იქნება, რაც ნემსში ძაფს ვეღარ ყარი.

— გავიგე დედი, გავიგე. კარგი, გეყოფა, აი, ეხლა მოგცემ მე შენ ფხვნილს, ცოტა მწარე იქნება დასალევად, მაგრამ არა უშავს რა, დილა საღამოს გადაყლაპავ. — და გამოვუწერე ქინაქინი.

— : —

— შენ რაღა გტკივა ქალო? — შეეკითხე შემოსულ ახალგაზრდა ქალს.

— მეე? მრცხვინიან კია: მაგრამა უნდა გითხრა, რომა შვილი არ მყავს. ეს სამი წელიწადია ჯვარდაწერილი ვარ და არ ვიცი რა მიზეზია.

— თქვენი ქმარი ახალგაზრდაა?

— იგეთია, რომა რკინას გაჰკმეტავს კბილითა.....

— ალბათ თქვენ შთამამავლობით უშვილონი იქნებით.

— როგორ თუ შთამამავლობით?

— ისე, რომ თქვენ მამას, პაპას და მამის მამას და პაპას და სხვებს შვილები არ ეყოლებოდათ და არც თქვენ გეყოლებათ.

— მაშინ თუ შვილები არ ეყოლებოდათ, ჩვენ აიდან გაუჩნდით?

—არა, თქვენ შვილებს და შვილიშვილებს არ ეყოლება შვილები.

— თუ ჩენ შვილები არ გვეყოლება, შვილიშვილები საიდან გვეყოლება? ფინაჩი ყოფილხარ და არა ექიმი! — მითხრა და წავიდა.

თანდათან ეს სოფელი ჰკუაში მიჯდება, არა უშავს რა, შეიძლება კაცი ვაერთოს. ორ კლას დამთავრებულმა მარიკამ, გული ტკივე იბრუნა ჩემსკენ, რადგან სხვა გასაჭანი არ ჰქონდა.

სოფელში თანდათან „კაი დოხტურის“ სახელი მოვიხვეჭე.

— ეეეი, დიდი ნაწაელი კაცი კი უნდა იყოს ე ჩვენი დოხტური. — ამბობენ სოფლებში ჩემზე.

იგი.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ

(ᲒᲐᲗᲝᲛᲘ)

— ᲩᲔᲛᲘᲐ, ᲑᲐᲝᲢᲜᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲕ, ᲓᲐ ᲐᲮᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲘᲗᲛᲔᲜ ᲛᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲝᲡ. ᲔᲥᲕᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲘᲗ ᲔᲠᲗᲐᲓ. —ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲐᲕᲔᲑᲔᲜ; ᲕᲔᲥᲘᲚᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚ ᲞᲝᲠᲗᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲣᲓᲕᲘᲐ ᲪᲮᲕᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲘᲮᲘᲜᲔᲑᲡ; ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲡᲐᲮᲝᲪᲡ ᲘᲤᲐᲠᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲖᲔ; ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲛᲣᲪᲔᲚᲖᲔ ᲡᲙᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲗ.

ᲐᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲡ. ᲔᲠᲗᲘᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲢᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲓᲒᲐᲡ ᲓᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡᲘᲡ“ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ—ᲗᲐᲕᲓᲐᲑᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲔᲠᲬᲐᲡᲣᲚᲘ ᲗᲮᲔᲚᲘ ᲢᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡᲘᲡ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲘ—ᲥᲐᲚᲘᲡ ᲥᲛᲐᲠᲘ.

— ᲠᲐ ᲰᲥᲕᲘᲝᲓᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲪᲝᲚᲡ?—ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲛᲝᲛᲩᲘᲕᲐᲜᲡ.

— ᲡᲘᲠᲐᲜᲣᲨ... ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲔ ᲛᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ, ᲔᲥᲕᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲘᲗ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ. ᲛᲔᲠᲛᲔ ᲛᲘᲛᲐᲢᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲔᲥᲪᲐ.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲙᲣᲠᲐᲕᲡ.

— ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ?—ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲑᲠᲘᲚ ᲥᲐᲚᲡ.

— ᲐᲜᲘᲙᲝ!

— ᲡᲢᲧᲣᲣᲘᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲕ, ᲡᲢᲧᲣᲣᲘᲡ, ᲡᲘᲠᲐᲜᲣᲨᲐ ᲥᲕᲘᲐ, ᲡᲘᲠᲐᲜᲣᲨᲐ!—ᲐᲠ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲛᲩᲘᲕᲐᲜᲘ.

— ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ?—ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ.

— ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲪ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲠᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ, ᲝᲗᲮᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲪᲝᲚᲐᲓ ᲛᲧᲐᲕᲡ. ᲠᲝᲪᲐ ᲪᲝᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲠᲗᲔ 17 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲔᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲜᲐᲨᲕᲘᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲢᲧᲝᲑᲝᲓᲐ; ᲔᲑᲚᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲠᲐᲪ ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲩᲜᲓᲐ—ᲩᲔᲛᲘᲐ ᲔᲡ ᲥᲐᲚᲘᲝ,—ᲓᲐ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲕᲘᲪᲘ—ᲩᲔᲛᲘᲐ ᲗᲣ ᲛᲐᲒᲘᲡᲘ!—Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ ᲛᲐᲜ.

— ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲒᲔᲧᲝᲤᲐᲗ, ᲝᲠᲘᲕᲔᲡ! — ᲓᲐᲘᲫᲐᲮᲐ ᲕᲘᲚᲘᲐᲪᲐᲛ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲝᲠᲝᲛᲢᲠᲘᲐᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ.

— ᲠᲘᲗ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲜᲘ ᲪᲝᲚᲘᲐ?—ᲨᲔᲔᲙᲘᲗᲮᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲛᲝᲛᲩᲘᲕᲐᲜᲡ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲗᲣ ᲠᲘᲗ! ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲛᲐᲒᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲛᲘᲪᲮᲝᲕᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲡ ᲛᲘᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ,—ᲡᲘᲠᲐᲜᲣᲨ, ᲡᲗᲥᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲝᲚᲘ ᲮᲐᲠ. ᲜᲣ ᲒᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐ, ᲛᲐᲒᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲨᲔᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕ. ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲐᲙᲚᲔᲑ.

ᲥᲐᲚᲛᲐ ᲢᲘᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲠᲗᲘᲗ.

— ᲠᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲜ, ᲩᲔᲛᲘ ᲫᲛᲐᲝ, ᲛᲝᲒᲪᲔᲛ ᲝᲠᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲘᲗᲛᲔ. ᲩᲔᲛᲘ ᲪᲝᲚᲘ.—ᲛᲘᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲩᲘᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲥᲛᲐᲠᲡ.

— ᲝᲠᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲛᲔ ᲛᲝᲛᲔᲪᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲐᲜᲐᲗ ᲓᲐᲒᲘᲗᲛᲝᲛᲑ, ᲨᲔ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝ!—ᲓᲐᲘᲫᲐᲮᲐ ᲔᲠᲗᲛᲐ.

— ᲔᲔ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲐᲡᲝᲗ ᲓᲐᲕᲣᲗᲛᲝᲑ! —ᲓᲐᲘᲫᲐᲮᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲛ.

— ᲛᲔ, ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲤᲣᲚᲡᲐᲪ ᲓᲐᲣᲗᲐᲕᲔᲑ—ᲓᲐᲘᲫᲐᲮᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲛ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲔᲓᲝᲗ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲡ.

ᲐᲛ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ ᲛᲝᲠᲬᲜᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ, ᲝᲠᲐᲡᲘ ᲛᲝᲠᲬᲛᲐ, ᲡᲐᲛᲘᲡᲘ ᲤᲣᲠᲪᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡᲓᲘ, ᲨᲕᲘᲓᲘ ᲕᲔᲥᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡᲐ ᲛᲝᲛᲩᲘᲕᲐᲡ ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲖᲔ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ, ᲠᲝᲛ „ᲐᲜᲘᲙᲝ“ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ „ᲡᲘᲠᲐᲜᲣᲨᲐ“ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲝᲚᲐᲓ ᲒᲐᲠᲔᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲩᲘᲕᲐᲜᲘ ᲣᲙᲐᲜ ᲐᲘᲓᲔᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲙᲔᲕᲓᲐ.

— ᲠᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲐ!—ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲔᲚᲘᲢᲐ ᲥᲐᲠᲙᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,—ᲝᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲙᲚᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲔᲛᲡᲙᲔᲠ ᲔᲠᲗᲘᲪ ᲐᲠ ᲘᲑᲔᲓᲔᲑᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲙᲕᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲙᲘᲓᲔᲕᲔ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲣᲢᲐᲜᲘᲐ „ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡ“ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲣᲗᲮᲝᲕᲘᲐ—ᲛᲘᲔᲡᲐᲯᲝᲡ ᲛᲐᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ.

Ჯ. ᲝᲒᲝᲚᲘ.

ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲒᲣᲚᲘ

— ᲙᲐᲪᲝ, ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲧᲣᲓᲘ, ᲤᲔᲮᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲮᲐᲠ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ ᲒᲝᲠᲨᲘ?
— ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲒᲝᲜᲘᲐ: „ᲨᲝᲠᲘ ᲒᲖᲐ ᲛᲝᲘᲐᲠᲔ, ᲨᲘᲜ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲝᲗ“?!

ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲡ

ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲡ, ᲛᲐᲛᲤᲝᲠᲘᲐᲡ (ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ) ᲓᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲡ (ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘ)

ᲑᲝᲚᲛᲐ ᲐᲛᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ
ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲠ ᲒᲐᲜᲐᲑᲠᲐᲖᲐᲓ,
ᲠᲝᲓᲐ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲘᲚᲔᲗ,
ᲒᲐᲜᲐ ᲦᲘᲠᲓᲔᲗ ᲠᲝᲓᲐ ᲐᲑᲐᲖᲐᲓ?
ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲛᲔᲢᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲔᲗ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲮᲝᲕᲔᲜᲐ ᲨᲔᲘᲬᲧᲜᲐᲠᲔᲗ
ᲓᲐ „ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲓ“ ᲒᲐᲫᲘ ᲕᲘᲑᲣᲚᲡ
ᲗᲣᲛᲪᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲗ.
ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲕ, ᲨᲔᲜᲪ ᲘᲛᲐᲗᲗᲐᲜ
ᲠᲝᲛ ᲒᲘᲮᲝᲜᲔᲑ, ᲛᲔᲠᲙᲮᲕᲘᲜᲔᲑᲐ,—
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲨᲔᲜᲪ ᲘᲧᲐᲕᲘ,
ᲐᲠ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲝ,—ᲒᲘᲬᲧᲘᲜᲔᲑᲓᲐ.
ᲗᲣᲛᲪ, ᲣᲜᲓᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ, ᲐᲠᲥᲐ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ
ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲨᲔᲜᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲪᲕᲔᲚᲐᲓ:
—ᲨᲔᲜᲪ ᲨᲔᲣᲓᲒᲘ ᲕᲚᲔᲑᲘ ᲭᲝᲗᲐᲜᲘ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲯᲔᲠ ᲛᲝᲡᲐᲬᲕᲔᲚᲐᲓ.
ᲝᲪᲓᲐ ᲐᲗᲘ ᲩᲐᲘᲯᲘᲒᲘᲡ
ᲣᲫᲚᲔᲑ ᲙᲣᲭᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲫᲚᲝᲛᲐᲓ;
ᲗᲐᲜ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ: ᲐᲮᲘ ᲛᲐᲪᲓᲔᲜᲗ
ᲛᲔ ᲘᲮᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ [illegible]ᲘᲡᲘᲡ ᲑᲚᲝᲛᲘᲐᲓ“.
ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲡᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲡᲘᲜᲓᲘᲐᲓᲘᲗ,
ᲘᲜᲝᲜᲔᲑᲓᲘᲗ, ᲐᲚᲑᲐᲓ, ᲛᲨᲕᲔᲓᲔᲑᲡ...
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗᲘᲗ,
ᲛᲐᲒᲓᲔᲜ ᲒᲝᲥᲔᲑᲡ ᲕᲘᲜ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲡ?

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ.

„განდეგილნი“

(ილიახებური)

„სოფ. ყაზბეგში ბლომად არიან მოკალათებული მეფის ყოფილი მოხელეები, რომლებიც მსახურებენ სხვადასხვა დაწესებულებებში. მათი უარყოფითი მუშაობა არა ერთხელ იყო გამოაშკარავებული“.

ხად დიდებულსა მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან;
ხად წვიმა-თოვლნი ყინულად ქმნილნი
მზისგან აროდეს არა დნებიან;
ხად უდაბურსა მას მუუდროებას
ჯერ მუშგლეხნი ვერ მისწვდენია;
ხად ჯალათ მეფის მოხელეთ მიერ
მთელ მცხოვრებთა სისხლს უდენია, —
იქ ორგანიებს ხაბეოისასა
ყოფილი ხალხი შეკედლებია,—
ესინი, რომელთ ხალხთა დათურგვნის
მხრებს უმშვენებდა ჩინ-მედლებია.

შეკედლებიათ და დაუთმიათ
„საიქიროვის“ *) ეს „ხააქაო“.*)
განშორებიან ვით ცოდვილ ხადგურს,
„თორემ გვიცნობენ ვინც ვართ აქაო,
ხად ძველი ცოდვა კაცს მუდამ სდევნის“.
(ცოდვა კი ზურგზე უამრავია...
ო, ვინ დათვალოს თუ მათ რამდენი
აქვთ ჩადენილი საქმე შავია!).

*) იგულისხმება—მთა, სოფ. ყაზბეგი.
*) იგულისხმება—ბარი, ქალაქი.

განშორებიან „უთი-ოფელს“
და სოფელ ყაზბეგს შეკედლებიან.
მათ არ აკლიათ სიტკბო პირისა,
ცხვარი, ბატკანი და დედლებია.
განუდევნიათ მუშა და გლეხი,
და ახდომიათ ფიქრი, წადილი.
დღე და ღამ ლხინი, ცეკვა, სიმღერა,
მათ უჭამიათ ტკბილად ხადილი.
ბლომად არიან ხამხედრო პირნი
ფეხოსანი თუ კავალერია,
მაგრამ აწი რა?! მათ თავს დაესხა
ჩვენი „ძაუბუქი კავალერია“.

რინ.

სამუშაოპო მესტვირული

ომ დღეს მივიღე წერილი
სოფელში წასულ ძმისაგან:
„ბევრი სიკეთე გვსმენია
წარსულში ბუკოპისაგან!
მხოლოდ მარტოდენ წარსულით
ამდროში ვინ-ღა ფასდება?
კარგს იზამს, თუ რომ მოშკოპიც
ნაკლოვანობებს ამცდება!“.
კეთილ არს ეს ძმის სურვილი
და, ალბად, გამოადგება
თვით მასაც, თუ გასწორების
მუშკოპიც გზას დაადგება.
მაინც რომ საქმე საერო
ძალებით გამოვაკეთოთ,
მოდით, ეს ნაკლოვნებანი
ჩვენც აქვე, დავაკონკრეტოთ.
დაუკარ, ჩემო ჭამანჩავ,
ამიკელ „პიტი-პუტობით“!..
ვაშ, თუ მუშკოპის ქონება
ნოქრებს შინ მიაქვთ ფუთობით,
და მიტომ კილოგრამობით,
ჩვენთვის არ რჩება, ალარა!..
გუდა დაჩუტა სიცრუემ,
ბუბლი კი დარღმა დალარა...
ვიცი, ზამთარი მოგვადგა
და გაგვიტკბება ბუხარი!..
ვინ შეალაგა მოშკოპში
ეს ჩარჩთა ნაყარ-ნუყარი?!.
სდგანან უსაქმოდ დახლებში:
„თავის ამინდი ჰგონიათ“...
ათჯერ სთხოვ, ერთხელ სამადლ
დამპალ ხილს მოგიწონიან..
თუ არ მიჯერი, რაცა ვთქვი
მიდი და ის ქვა მოხარი!
ჯერ არ მსმენია უხეში,
როგორც მუშკოპის ნოქარი!..
რაც ვსთხოვე, მტკიცა უარი,
მცნო კოსმეტიკის ხამადა;
— ინებეთ, რამდენიც გინდათ,
დუხი და ტუჩის „პამადა“!..
თქმულა მუშკოპის ნოქარზე
ეგ სიტყვა, გადაკრულია:
„რასაცა შესჭამ, შენია,
რაც არა, — დაკარგულია“!..
მიტომ ვერ ნახავთ დღეს ჩვენში
იმაზედ სამასხაროებს,
რაც ნოქრებისგან დღენი სჭირთ
მუშკოპის გრძელ-გრძელ თაროებს!..
სახილე დუქანს მივადექ,
თვალში შემეყო ჩახგალი:
საღის წილ, უხვად ეყარა
დაბეჟილი და დამპალი!..
სდგას იაპონურ ხურმის მთა,
ვით საქონელი „გრანიცის“;
თუმც თქმულა ვიროზე რომ „ხურმა,
მან, რა ხილია, რა იცის“?!.
სდგას ნოქარი და სთვლემს დახლში
დილიდან დაღამებამდის...
მაკალე, შვილო ნოქარო,
მუშკოპის წევრთა კრებამდის!.. **ონისიმე**

— ჩიტებიც კი თბილ ადგილს ეძებენ და ზამთრობით სამხრეთისაკენ მიფრინავენ! მე კი თბილ ადგილს მოვმაშორეს და ქალაქიდან სოფელში გამომგზავნეს სამუშაოდ!

აქა ამგვავი კინო სურათის გადაღებაზე

სოფლად მობრძანდნენ არტისტნი, კაცნი ქარ-
თველთა ტომისა,
მათში ერევნენ ქალებიც, ტანად სხვადასხვა ზომისა.
ბაღათურია უფროსობს, აქვს ძლიერება ლომისა,
არვის ეგონოს ხუმრობა, ან ყლაპვა ცივი ლომისა.
მათ მოეწონათ სოფელი, სიმწვანე, ველი, სერები;
შეყარეს გლეხი-კაცები, ქალები, პიონერები.
შეჰპირდნენ: „სკოლას აგიგებთ შემკულს სხვადასხვა
ფერებით,
თან რადიოსაც დაგიდგამთ, აგავსებთ ბედნიერებით“.
გვითხრეს: „ხელფასსაც მოგართმევთ, თუ იმუშავებთ
ჩვენთანა,
ჩვენია ქალაქ თბილისი, ჩვენია მთელი ქვეყანა.
სურათის გადაღების დროს გათელეს ბაღი და ყანა,
ამ უცნაური სტუმრობით შემდეგ სოფელმა ინანა.
გლეხებს იგდებდნენ აბუჩად: რას მიქვიანო გლე-
ხები,
ჩვენა ვართ კინო - არტისტნი, თქვენ უნდა გვბანოთ ფე-
ხები.
თოკზე ავდივართ, ჩავდივართ ვითარცა ნამდვილ ვეფ-
ხვები,
ჩვენ პუდრ-პამადა გვიზიდავს და მოშრიალე ვერხვები.
ბავშვებიც დაასნეულეს ავადმყოფობით კანისა.
შემდგომ მოკურცხლეს თბილისში არ დაყოვნება ხანისა.
ამით დასრულდა ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა...
ესე მუშაკლებინს მიენდო გამოძიება ამისა.

იანო.

ლექცია ზოგიერთ ინსტიტუტებში

ტელეფონთან (ამბროლაურის რაიონი)

ჰა! ხოტევია?.. თუ ძმა ხარ მითხარი, რა ამბავია ხოტევში? კაციტაძე?.. რომელი კაციტაძე, კაკო? არქიპო? რაშია საქმე?.. რაო! გლეხებს რომ სცემდა?.. მერე, მერე?.. რაო? მოხსნეს თემსაბჭოდან!.. ძალიან კარგათ უქნიათ... ა? ისევ მოახერხა დაბრუნება? რაო? წულუკიძეს დახვდა გზაში და ჭალი მოსთხოვა?!. რას ამბობ, კაკო!? ჭელიძის ჭალი გალახა? ძალით გაიუპატიურაო!?! არ დაეჭირეს? რაო? გამოიშვა თავი! რაფერ, კაკო, თუ კი ჭალმა იცნო! ა? ვეჭილმა უშველა! რა სთქვი? სასამართლოს თავმჯდომარე მისი კარგი ნაცნობია?! ჰოო, ახლა კი ვიცი აჰა? რაო? ყრუა შვილი მისცეს პასუხისგებაში? რას ერჩოდენ?... კაციტაძეს საქმე რატომ გამოაშკარავეო! არ ისმის კარგათ. რაო? ახლა არტელშია? საწარმოო უბანს ხელმძღვანელობს? ვინ გაუშვა ასეთი კაცი საწარმოო უბნის ხელმძღვანელად? ა? თავისმა სიმამრმა? გლეხობა ემდურის? გლეხებს აგინებს და უბღვერს? ტყუილი იქნება, ბიჭო, მღვდელთან და კულაკთან რავა ეჭნება კავშირი! მართალია? რაო?.. ხოტევი! ხოტევი! სადგური... შემიერთე ხოტევს... ტფუი!

სოსო.

ახალგაზრდა მხატვრები

უცხოეთში
ნახ. არჩ. ჩხეიძის, ტფილისი.

— მოწყალება გაიღეთ, დაგვეხმარეთ უმუშევრებს, მთელი დღე უჭმელი ვართ!

— ჰმ! უმუშევარი! მთელ დღეს მუშაობდეთ და არაფერს სჭამდეთ, ეს კიდევ მეხმის!

ნამდვილი მიზეზი
ნახ. ასტვაცატუროვას, ტფილისი.

— რაშია საქმე, რომ დაწესებულებაში არავინ არის?

— დღეს ჩვენი გამგის გვარის ანბანზე წიგნაკების გამოცვლა ხდება, და, ვინაიდან აქ მხოლოდ გამგის ბიჭაშვილები მსახურობენ, ყველანი წიგნაკების გამოსაცვლელად წავიდნენ!

ეურების გაზრდა
ნ. გ. ორჯონიკიძის, ქარელი



— მასწავლებელო, თქვენს სკოლაში მოგარეების შემდეგ, ჩემს შვილს ეურები გაეზარდა!

ჩვენი საყასბო
ნახ. ვ. ჩხაიძის, ლანჩხუთი.

— აღარ მეგონა, თუ ხორცის აღებასაც პროტესტაცია სჭირდა!

— მოსულიყავი ჩემთან და უპროტესტიო - ურიგოდ გამოგატანდი რადენიც გინდოდა!

ნატვრა
ნახ. კოპალიანის, ცაგერი.

ნეტავი ჩვენი კოოპერატივის ნარჩენ, ნიკოს, ნათესავი ვიყო, ყველაფერი მეძნიბოდა!

სწორი მისამართი

— ფრიდონ, ჩემი ცხვრები ხომ არ დაგინახავს?

— რაც ამ ჩვენს სოფელში ცხვრები და თხები, ყველა ჩვენს სკოლაში იყრის თავს... ალბად შენიც იქ იძინებ.

რაღიო

ცეკვის რეკორდი

აჟარისწყალი. კლუბის გამგემ მსოფლიო ახალი რეკორდი დაამყარა ცეკვაში: სცენაზე ცეკვა არ შეუწყვეტია მაყურებელთა სახლში მისვლამდე.

უსტა-სან

ორდერების განაწილება

მარანი (აბაშის რაიონი). „ეპოს“ გამგეობა დღისით გაცემულ ორდერებს ღამით აუქმებს და ისევ ანაწილებს... ნაცნობთ შორის.

ანტირელიგიური კამპანია

იქიდანვე. ძველ ჩვეულებებთან ბრძოლის მიზნით, რომ მიცვალებულის მიმართ მოსახლეობაში უკმაყოფილება არ გამოეწვია, „ეპოს“ ფურნემ მთელი დღის პურის მარაგი გასცა აღპისათვის და უპუროთ დატოვა მოსახლეობა. „ეპომ“ მიზანს მიაღწია: გაძღომის „შემდეგ“ მომტირალენი სახლში გაიპარენ და მით პროტესტი გამოუცხადეს მიცვალებულს მათი პურის მითვისებისათვის.

ოჩოპინტე

„თავშესაფარის“ გახსნა

ოზურგეთი. „ეპოს“ გამგეობამ მობილიზაცია უყო ყველა გაწმენდილებს და მოათავსა „ეპოში“. ადგილებზე გაგზავნილია წერილები ყოფილ ვაჭრების „ეპოში“ გამოგზავნის შესახებ.

ულაპაძე

„ხელის შეშლა“

ჯურუყვეთი (გურია) სარევიზიო კომისიამ იმ დროს მოუსწრო ადგილობრივ კოოპერატივის ნოქარს, როცა უკანასკნელი ფულებს ყლაპავდა. რენტგენის სხივებით გასინჯვამ, აღმოაჩინა, რომ ნოქარს მხოლოდ 400 მანეთის გადაყლაპვა მოესწრო, დანარჩენი ფული აღმოაჩნდა ყელში გაჩხერილი.

ეა

ღვერთის მოწვევა

გომი (სამტრედიის რაიონი) აღმასკომის თავმჯდომარემ და მდივანმა გადასწყვიტეს — მოიწვიონ საიქიოდან ღმერთი, რომელიც კანცელარიაში არსებულ ქაოსისაგან შექმნის და დაამყარებს წესრიგს საქმის წარმოებაში. მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. საქმეს აბრკოლებს ხელფასზე შეუთანხმებლობა. აღმასკომმა გამოიწერა დამატებითი თანხები სპეც ღმერთის ხელფასისათვის.

მეგრძოლი

ყანბარა

არ გვაქვს მტრობა, არცა შური ავუწიოთ ვანოს ყური

ხარაგოული

ცხრაწლიდან სკოლის მასწავლებელი ვანო ბუაჩიძე მოწაფეებს სცემს, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მოწაფეთა მშობლებში.

თალ

— ვანო, ეს რა გიქნია ჩემი შვილისათვის, რომ ბავშს შენი ცემისაგან ბისერი განზე მოღრეცია?

— მაგისი დარდი გაქვს! ხვალ მეორე მხრიდან გავარტყამ ყბაში და თავი ისევ თავის ალაგას დადგება.

ბიჭო, ყური რა უყავი?

— სახლში დავტოვე, თორემ ჩვენი მასწავლებელი ვანო სკოლაში არც ერთს არ შემარჩენდა.

— ნეტავი განათლების განყოფილება ყურს აუწევდეს ჩვენს მასწავლებელ ვანოს, როგორც თვით უწევს მოწაფეებს ყურს!

უშვარს ძველი ადათი, ბაუფრინდა მანდატი.

ჯურუშეთი, (გურია)

ლევარსი ფხაკაძემ კარგად მოითბო ხელი ალმასკომის თავმჯდომარეობის დროს. როცა კოლექტივიზაცია გამოცხადდა, მან მიყიდ-მოყიდა საქონელი და ჭონება და ისე შეიდა კოლექტივში.

ე. რა.

კოლექტივმა ჩვენს ლევარსის
აუტეხა გულის ძგერა.
კულაკებში დაფრინავდა
ჩუმად როგორც ქარი, ძერა.
მაგრამ მაინც ვერ ჩაშალა,
დააარსეს კოლექტივი,
და ლევარსის თვის მიზანზე
გადაესხა წყალი ცივი.
სხვა საშველი აღარ ჰქონდა,
(კაცი იყო თავმჯდომარე).
კოლექტივზე ვარი ვერ სთქვა,
თუმცა ღვარა ცრემლი ცხარე...
და გაჰყიდა რაც გააჩნდა,
კაცი გახდა „პროლეტარი“,
და ვით გლეხი „უმიწა-წყლო“
შემოაღო ფარითოთ კარი.
ღმერთსა სთხოვდა: დამიფარე,
მღვდლით მოვნათლე „ჩემი შვილი“,
და სანთელი ხატების წინ
ინთებოდა ორი წყვილი.
მაგრამ ღმერთმა ვერ უშველა...
გამოება მანდატს ფრთები,
და გაფრინდა... გადიარა
მაღალი და გრძელი მთები.

ვანია და ილია ორივ მოწყენილია.

სოფ. ჟვიშაეთი, სტალინის

კოლექტივში აღმოჩნდენ ულირსი პარტიულებიც: ვანო მაჩხაშვილი და ილია გომართელი, რომლებიც კოლექტივის წევრებს აიძულებდენ კოლექტივიდან გასვლას.

ძირ-თ

კულაკმა დუდუკს დაუკრა,
აცეკვდა ორი ძმანია,
(პირველი გახლავთ—ილია,
და მეორე კი—ვანია).

ზედ მოაყოლეს სიმღერა:
„არ გვინდა კოლექტივიო,
და გავაცუროთ ყიხულზე
ვითარცა მტკვარზე ტივიო.

შიგ შევიპაროთ. გამოვხრათ.
„ციხე შიგნიდან ტყდებაო“.
რომ დაიშლება არტელი,
ჩვენ ხომ არ დაგვბრალდებაო

მაგრამ გაუგეს ვაჟბატონთ
მათი მიზანი ავია.
„კოზი ნაჯარში ჩავარდათ“
ვეღარ მიართვეს ფლავია.

ხეყლაპია კომისიამ რაც გაყიდა სულ მისია

ეწერი, (სამტრედია)

საალმშენებლო კომისიამ ეკლესიის ეზოში მოჭრა ცაცხვები და გაყიდა. აღებული თანხა სოფელს არაფერში მოხმარებია, რადგან კომისიამ შესანსლა.

ეწრელი კოლო

„ხეყლაპია“ სახელი
არ გეგონოთ ზღაპარი.
მის ნახვისთვის არ გვინდ
სანთელი და ლამპარი.
ადვილია, რომ გახდე
„ხეყლაპია“ კაცადა;
უნდა გქონდეს ამისათვის
შენ ჭამის შნო და მადა.

ხეებს აქცევ ფულად და...
და ფულს უქენ ყლაპია.
შეგერგება, შეგრჩება
როგორც ტყემლის ტყლაპია.

ნუ იდარდებ ალექსანდრე, აღგადგენენ შენ კვლავ ადრ

სოფ. სოჩხეთი, (ხრეხილის თემი)

ალექსანდრე მინდაიშვილი, რომელიც თავისი შავი წარსულისათვის გამორიცხეს კოლექტივიდან, ისევ შემოძვრა შიგ ძმა-ბიჭების დახმარებით.

მნახველი



— ზურგზე გვაჯექი, როდესაც
შავ დროის იყო ხანაო.
შეხის წყალობით ბევრს გვქო
ზურგის და თავის ფხანაო...

ეს უთხრეს... კარიც გაუღეს
პანლურიც ზედ ჰკრეს თანაო.
ჩვენ კოლექტივში არ გვინდა
კაცუნა ამისთანაო.

გავიდა ხანი, სულ ცოტა
მოფრინდა ფანჯრიდანაო,
და კოლექტივის საკლავად
გალესილი აქვს დანაო.

ქანონის მიხედვით

— არ შეიძლება აქედან ამოხვლა!
— როგორ თუ არ შეიძლება! ბავშიანი ქალი ვარ!

წერილი მეგობარს
(ოზურგეთი)

დღით ცხადათ, ღამით სიზმარში დაუცინყარო და მოსაგონარო, ძმაო ვასო.

მივიღე შენგან გამოგზავნილი წერილი, რომელშიაც მწერ ზესტაფონის ავკარგს.

მანდ ყველაფერი თავის რიგზე ყოფილა, ჩემო ძმაო, თუ კი წითელ სასადილოში 2-3 საათის მეტი არ გიწევს ცდა. (მაგას რა სიკობია). შენ ჩვენი იკითხე. ორ-სამ საათს ვინ დაეძებს, რომ მთელი დღე არ გვიწევდეს ლოდინი. ჯერ მოგიტანებენ ხელის შესახოც ქაღალდს, შემდეგ—ბორშს, შემდეგ—დანა-ჩანგალს (უნდა ითქვას სიმართლე, რომ დანა-ჩანგალი ერთად მოაქვთ),—შემდეგ—პურს და ბოლოს —კოვზს. კერძიც არის და კერძიც; თუ კარგი ცორვა არ იცი, ვერაფერს გახდები (ცურვა ხომ ყველამ არ იცის.).

ერთხელ სასადილოში ლიმონათი მოვითხოვე.

ოფიციანტმა გახსნა ლიმონათი და შიგ ბორშში ჩამიგდო. (თურმე ვილაც „ვულის ვარდს" ეალერსებოდა და თვალებით სხვაგან იყურებოდა).

იწერები: შალიკო ურუშაძეს რა უქნეს—გოგუაძის ქალი რომ დაიბარა სამსახურში კალოშების მისაღებათ და შემდეგ გაუპატიურება მოუნდომეთ.

რა უქნეს ეს მაშინ მოხსნეს სამსახურიდან. სასამართლომ ასეთი განაჩენი გამოიტანა:

„მიიღო რა სასამართლომ მისი სოციალური მდგომარეობა" (ყოფ. ვაჭრის შვილია) მოსაჯა პირობითი სასჯელი.

შემდეგ გამოჩნდა ვილაც „გუთნის დიდა" და გაგზავნეს ლაითორის მუშკომის მდივნათ. (ე. ი. „ჰოვიშენია" უქნეს).

გამეცინა, მწერდი—წერილებს თუ დებულობ თავის დროზეო.

თავის დროზე კი არა, ერთი წლის შემდეგაც რომ მივიღო, დიდი გასაკვირი იქნება.

ტფილისში გასაგზავნ წერილებს ხშირად ისევ ოზურგეთში ვღებულობთ. მაგალითად 10 ნოემბერს ტფილისში და სხვა ადგილებში გასაგზავნი წერილები და ამანათები ზვანში გაეგზავნათ.

ეს ჩვენი წერილი, როგორ თარიღიდან ჩანს, სამ თებერვალს გამოგზავნია და დღეს (30 ნოემბერია) მივიღე.

წერილი თუ გამოგზავნო „დაპლოტნოი" გაოგზავნე, ის არ იკარგება, რადგან აბაზი აქვთ მისაღები.

მართლა კინალამ დამავიწყდა.

როგორც ჩანს, სანდრო თოიძის ამბავი ძალზე გაინტერესებს. ხომ გახსოვს პირველად მოანგარიშედ იყო აბრეშუმის ქარხანაში, მოხსნეს და ცოტა ხნის შემდეგ იქვე დანიშნეს ბუჰალტრად, ორი თვის შემდეგ ისევ მოხსნეს და ერთ კვირაში მთავარ ბუჰალტრად დანიშნეს იქვე. წმენდაზე პირველ კატეგორიით მოხსნეს. გავიდა ცოტა ხანი და იმ ქარხნის დირექტორად დანიშნეს. გიკვირს! ჩვენც გვიკვირს, მაგრამ რა ვქნათ.

ახლა საშიშია არ მოხსნან, თორემ მისი „საკადრისი" სამსახური, საქართველოში აღარ გვექნება.

კიდევ ბევრის რამის მოწერა მინდოდა, მაგრამ [illegible]შინია წერილი არაევის ჩაეკარდეს ხელში, თორემ ეს ხალხი ხელს არ დამაყრის.

თუ ძმა ხარ, ვასო, ეს წერილი წაკითხვისთანავე დახიე, თორემ თუ ვინმეს ჩაუვარდა ხელში, „ტარტაროზში" გამოჭიმავს.

მოგიკითხა ერთი ჩვენი არაყით დამთვრალმა აგრონომმა ყიფიანმა.

ზევარდენი

ვლიქვნელი

სამტრედია

დგება წუთი მძიმე,
უნდა აეხმაურდე!—
გლეხკომს თავის თავზე
ქუდი აღარ უდევს.
სასადილო გახსნა
ისე „ჩუმი, წყნარი",
აქ არ გვეგულება
სხვა მის შესადარი.
ლანძღვა გნევას? არის.
ჩხუბი? —ისიც კიდევ!
და გაისმის რისხვის
ხმები კიდით-კიდე.
მოპყრობაზე — მგონი,
სიტყვა არის მეტი! —
ვზივართ ობოლივით.
ცრემლებ-მონაწყვეტი.
თავმჯდომარემ ვალი
შეასრულოს უნდა!—
მოგვაშოროს დროზე
ხალხი ხურდა-მურდა.

დაიღალა თვალი—
ამ ქალაქის მზერით!
ხან მოჰქროლავს დაბლა
ხან აიწევს ზევით.
ანრდილივით ჰქრება,
ხელმძღვანელთა ხელი
და ჰაერზე რჩება
ყელი მოსახვევი.

აღმასკომმა ბევრი
დაპირება მოგვცა!
ბოლოს **„მიზეზებით"**,
ყველა გაგვაოცა.
მაინც არ შეისმენს,
რომ ვთქვათ გასაგონად
და ამიტომ დუმილს
ვარჩევთ უფრო სწორად.

ამ ამბავმა სწორმა
სწორედ ამატირა—
რაიაღმასკომი
ცვლის უფროსებს ხშირად.
სახეში მაქვს **წითელ**
მილიცია დღესა!
ოცდაათჯერ თვეში
იცვლის უფროსებსა.
შესძრეს მთა-ბარი,
სცადის ყველაფერი—
ვერ იპოვეს მაინც
ერთი შესაფერი.
და გრძელდება კვლავაც
მოხსნა-დანიშვნები!—
(ტარტაროზო, გვიხსნის
რჩევა, შენი ხმები)...

ჭაგნელი ბზიკი.



საყოველთაო სწავლა და ექიმგაში

სოფლის ამგები

(საჯავაახო)

საბჭოთა მამულს ძნელაძე
„ვაზის უბანში“ განაგებს.
გიორგი კვალდაკვალ მისდევს
ბიუროკრატის ანაგებს.
მუშტი და კრივი მუშებში
ამ დროში გაგიგონია?!
მე საქციელი ძნელაძის
გამიზომ-ამიწონია.
ამბობენ: დიდი კაცი ჰყავს
ძნელაძეს დამცველ-მფარველად,
და უდარდელად ღიღინებს,
მერანით დაჰქრის მთა-ველად.

მუნ სასადილო დიდი ხნით
სტირის და დაღვრემილია.
არ შეგარჩენენ სილოვან,
რომ გადასხსლე რბილია

სალამი ჩემო დომენტი,
რაშია საქმე ძამია?
ამ უპატენტო დუქანში
სოფელი შეგიპამია!
„მარკა“ და ოთხი აბაზი
მითხარი, მოსაწონია?
თუ ეს ქვეყანა, ბიძია,
შენ უპატრონო, გვონია!
გლეხკომო, აბა გლეხკომო,
აქეთკენ შენი თვალები.
ავტო დანიშნეთ, ძამია,
თორემ დავმძიმდით ვალებით.

სოფელ ბულნარას ვერიჩქა
„ცნობილი“ დოსტაქარია.
ქინაქინს შეუშხაპუნებს,
ბევრს დღე დაადგა მწარეა.
სიმონ დევიძეს „უწაძლა“,
გვერდში დაარჭო მახათი
ბევრია ამის მოწამე,
პეტრე, ივანე, ალათი.
შვიდი თუმანი დაუჯდა
ვერიჩქას ნანემსარია;
ალმასკონს ვთხოვოთ ალაგმოს
ასეთი დოსტაქარია.

ტარტაროზ, ესე გმირები
დაასილოსე, ძამია,
თორემ იმათგან გლეხობა
ვართ მეტად განაწამია.

„შიხლინსკი ბომბ“.

ბ ო ლ დ ო რ ი

ბულშემატკივარს (მცხეთა, ნავთსადენი) „კინო მოიტანეს და მის მოწყობაზე არავინ ზრუნავს, გდია ხაწყალი და ხმინავს“-ო. უკანასკნელ **სიტყვებს**, ალბად, **თქვენს** კულტკომისიაზე ამბობთ.

დ. დ. (ფოთი). ამ საკითხის შესახებ არ შეგვიძლია დისკუსია გავხსნათ ჟურნალის ფურცელზე. მხედველობაში მიღებული გვაქვს. ოფიციალური ცნობის შემდეგ შეიძლება უარყოფის დაბეჭდვა.

ლან დელს. ტფილისში ალბად უამრავი „თ. მ.“ **იქნება**, და როგორ მიხვდეს, თუ ვის ეკუთვნის თქვენი „ჩვენი დროის მეშჩანკა“? ბევრია **ასეთი „თ. მ.“**-ები:

იპრანშება, კოპწიაობს,
აქვს მაცდური თვალი,
და შელებილ ღაწვს „უმშვენებს“
ხელოვნური ხალი.
ბარძაყებსაც ვერ უფარავს
ხშირად მოკლე კაბა.
ვნების ცეცხლით აათრთოლებს
ის თვით წმინდა საბას. („წმინდანები“ ასეთ **საქმეში** უფრო მგრძნობიარე **ხალხია**, ვიდრე ჩიიოლებრივი **მომაკვდავნი**).

ასეთებით თავი მოაქვს
მას ზეციურ არსად.
და ნამდვილად კი არა ღირს
არც თუ ჩალის ფასად.

კარგს იზამდით, **რომ გაგეხსნათ ეს** ინიციალები **(„თ. მ.“)** და პირდაპირ **დაგესახელებინათ, თორემ** ვინმელმა ერთმა **მიიღოს** თქვენი **ძღვენი?**

მეპაძას (ზესტაფონი). ამ **წერილის** დაწერას **ის** არ **გერჩივნათ** გძინებოდათ ღამის **თორმეტ** საათის **შემდეგ? მერე** რა, **რომ** ბიუროში **12** საათამდე **იყვნეს? ყოველ** შემთხვევაში **უსაქმობა** თქვენ **უფრო** გეტყობათ, **რომ** ასეთ ამბავზე ძილს **იტეხთ** და **ნაშუალამევს** ასეთ **გრძელ** ლექსს **სწერთ.**

მაზუთის უბნელს (ზესტაფონი). ერთი **გვითხარი, ეს** რა **თქვენი** (და **ჩვენი**) **საქმეა, რომ** იწერებით:

ტარტაროზო, გვინახულე, და დაგბვდები აქ მე,
და თვითონ შენ განგვისაჯე ცქრიალაძის საქმე.
თამარს ქმარი აღარ უნდა... მას ხელს უწყობს დედა.
ჩამოდი და შენი რიხვა მოავლინე ზედა.

ამ **სიცივეში** ტყუილად **არ** გველოდო **მატარებელზე** სადგურში.

საველს (ფოთი) გვწერთ, **რომ:**

გვასალიამ გვილავასა
ჩხუბი როცა აუტეხა,
მათ ორივე თავის გარდა
„ლამპოჩკები“ სულ დატეხა.

აი, ეს (**შუშების** დატეხა) **არის** სავალალო, **თორემ** მათ **თავებს** ვინ **ჩივა!** რა **მოსახმარია!**

ენ.—ლოს (სამტრედია, ეწერი). **შესაძლებელია, რომ** ტარასი **კოლექტივში ჭორებს** ავცრელებს **და** ლამობს **მის** დაშლას, **მაგრამ:**

ინტრიგის ქსელის გამმბელი,
გამოქექილი მელია, —
კახიანია ქებული
თავადი დაშნაკელია.

არა გვგონია, **რომ** ტარასი **კახიანი** დაშნაკელი **იყოს**, ვინაიდან **ასეთივე ჰარტია ჩვენშიაც ბევრი იყო:** ჭენშევიკების, **ნაც.** დემოკრატების **და სხვ.**

ე—პა—ძეს (ოზურგეთი): ყველა ამ **ამბების** შესახებ **ჩვენ** უკვე **გვქონდა** წერილები **დაბეჭდილი** (**მათში** ზოგი **თქვენი** იყო). **მიუხედავათ** ამისა, **რომ** ახალი **არც** თეატრის **შესახებ** არას, **მაინც** დავბეჭდავთ **თქვენს** წერილიდან ამ ამონაწერს, **რომ** გული **არ** დაგაკლდეთ:

თეატრის საქმეს არ უჩანს თავი,
ვაშალომიძეს არცა აქვს ფიქრი.
ფული დაცანცლა ადგილკომებს და
ყოველ კვირაში ტფილისში მიჰქრის.

აკ. ბოცირიძეს. ვადასტურებთ, **რომ** „სხვაველი“-ს ფსევდონიმით „ტარტაროზში“ **მოთავსებული** **წერილი** „**სამება-ერთარსება**“ **თქვენ** **არ** **გეკუთვნის.**

Ф 345
1930

Академия наук СССР
Библиотека-Музей
Акад. Н. Марра

უგედური მშობლები

რედაქ. სარედ. კოლეგია; გაზ. „მუშას“ გამოცემა სტამბა "კოლექტივი" მოთავლ. № 1819